



მონაცემთა გაცვლის
სააგენტო

WWW.MY.GOV.GE

ს ა ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ო ფ უ რ ც ე ლ ი

გამოშვება #46

სექტემბერი, 2015

გამოშვებაში
წაიკითხავთ

მონაცემთა გაცვლის სააგენტოს ISO 9001:2008
შესაბამისობის სერტიფიკატი მიენიჭა

1 მონაცემთა
გაცვლის
სააგენტოს ISO
9001:2008
შესაბამისობის
სერტიფიკატი
მიენიჭა

1



საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტოს ხარისხის მართვის (ISO 9001:2008) შესაბამისობის საერთაშორისო სერტიფიკატი მიენიჭა. სერტიფიცირების საერთაშორისო ასოციაცია "IQnet"-მა ჩატარებული აუდიტის შედეგად დაადასტურა, რომ მონაცემთა გაცვლის სააგენტოში არსებული პრაქტიკა, რომელიც ეხება თანამედროვე ინფორმაციულ-საკომუნიკაციო სისტემების განვითარებას, ელექტრონული მმართველობის პრინციპებზე დაფუძნებული ინტეგრირებული სისტემების ჩამოყალიბებას, ელექტრონული სერვისების განვითარებასა და დოკუმენტბრუნვის

2 სამუშაო
შეხვედრაზე
ელექტრონული
მთავრობის, დია
მმართველობისა
და საჯარო
ადმინისტრირების
საკითხებში
განხილეს

2

3 ინფორმაციული
უსაფრთხოების
სისტემების
მართვის
საფუძვლებში
მორიგი
ტრენინგი
ჩატარდა

3

ელექტრონული პლატფორმების გამართვას, სრულ შესაბამისობაშია ხარისხის მართვის საერთაშორისო სტანდარტთან.

4 ლაოსის
დელეგაცია
მონაცემთა
გაცვლის
სააგენტოს
ესტუმრა

4

აღნიშნული გადაწყვეტილებით იზრდება მონაცემთა გაცვლის სააგენტოს საერთაშორისო რეიტინგი და, შესაბამისად, ამავე სააგენტოს მიერ შექმნილი სერვისებისადმი ნდობის ხარისხი, რაც იძლევა გარანტიას, რომ მოქალაქე ან ბიზნეს სუბიექტი იღებს საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტების მომსახურებას.

პროექტი
„ელექტრონული
მმართველობის
დანერგვა“
ადგილობრივ
თვითმმართველო
ბებში

4

„IQnet“-ის სერტიფიკატი ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია. ამ ორგანიზაციამ მონაცემთა გაცვლის სააგენტოში ჩაატარა დეტალური აუდიტი, თუ როგორ ვუძღვებით ჩვენ ხარისხის მართვას, რა კრიტერიუმებით ვხელმძღვანელობთ ახალი ელექტრონული სერვისების შექმნისა და მათი მომხმარებელამდე მიტანის პროცესში და მოგვანიჭა ISO 9001:2008 შესაბამისობის სერტიფიკატი, რაც ჩვენი ორგანიზაციის, როგორც საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მოქმედი სუბიექტის აღიარებას ნიშნავს“, - ირაკლი გვენეტაძე, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტოს თავმჯდომარე.



www.justice.gov.ge



www.house.gov.ge

my.gov.ge

www.my.gov.ge



www.sda.gov.ge



www.napr.gov.ge




www.archives.gov.ge



www.nbe.gov.ge



www.notary.ge



www.matsne.gov.ge

www.eAuction.ge
ელექტრონული აუქციონი

www.eauction.ge



www.tbilisi.gov.ge

მონაცემთა გაცვლის სააგენტოს მიერ ორგანიზებულ სამუშაო შეხვედრაზე ელექტრონული მთავრობის, ღია მმართველობისა და საჯარო ადმინისტრირების საკითხები განიხილეს



საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტოს ორგანიზებით, სასტუმრო „რუმს თბილისში“ ორდღიანი სამუშაო შეხვედრა გაიმართა, რომელიც ელექტრონული მთავრობის, ღია მმართველობისა და საჯარო ადმინისტრირების საკითხებს მიეძღვნა.

ზემოაღნიშნული მიმართულებების განვითარებას დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც სახელმწიფოსთვის, ისე მისი თითოეული მოქალაქისთვის. საჯარო ადმინისტრირებაში თანამედროვე მიდგომების დამკვიდრება და ღია მმართველობის პრინციპების გაზიარება აახლოებს ქვეყანას ევროატლანტიკურ სივრცესთან, ხოლო ელექტრონული მმართველობის პლატფორმა, რომელიც საჯარო სერვისების ელექტრონული ფორმით გამოყენების შესაძლებლობას იძლევა, ამარტივებს მოქალაქის სახელმწიფო სტრუქტურებთან ურთიერთობის პროცესს. სამუშაო შეხვედრის მიზანი მიმდინარე წლის ზაფხულში შემდგარი „ფაქტების შემსწავლელი მისიის“ მუშაობის შედეგების შეჯამება იყო,

რომლის ფარგლებშიც ესტონელი და ფინელი ექსპერტები სხვადასხვა სახელმწიფო უწყებაში, მათ შორის მთავრობის ადმინისტრაციაში, იუსტიციის სამინისტროში, მონაცემთა გაცვლის, სახელმწიფო სერვისების განვითარებისა და საჯარო რეესტრის სააგენტოებში გამართული შეხვედრების დროს გაეცნენ საჯარო ადმინისტრირების რეფორმის, ელ-მმართველობისა და ღია მმართველობის მიმართულებებით საქართველოში არსებულ ვითარებას.

სამუშაო შეხვედრაზე, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ სხვადასხვა სახელმწიფო უწყების წარმომადგენლები და უცხოელი ექსპერტები, განიხილეს ესტონეთისა და ფინეთის მხარდაჭერით „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ქვეყნების შესაძლებლობების ზრდის საკითხები ისეთი მიმართულებებით, როგორებიცაა ჩართულობითი დემოკრატია, ღია მმართველობა და ეფექტიანი ელექტრონული სერვისები.

„ელექტრონულ მმართველობას „ღია მმართველობის პარტნიორობის“ ფარგლებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

სწორედ ამიტომ არის მნიშვნელოვანი ასეთი ტიპის სამუშაო შეხვედრები, რათა მოგვეცეს შესაძლებლობა ჩვენს უცხოელ პარტნიორებთან ერთად შევაფასოთ განვითარების ტემპი და მიმართულება და, შესაბამისად, გამოვიტანოთ სწორი დასკვნები სამომავლო საქმიანობის დაგეგმარებისთვის“, - აღნიშნა **ირაკლი გვენეტაძემ**, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტოს თავმჯდომარემ.

მონაცემთა გაცვლის სააგენტოსთან ერთად, სამუშაო შეხვედრის თანაორგანიზატორი იყო „პადოსის“ (PADOS) პროექტი, რომელიც ფინეთის საჯარო მმართველობის ინსტიტუტის მიერ შეიქმნა და მიზნად ისახავს „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ქვეყნებში (საქართველო, აზერბაიჯანი, სომხეთი, ბელარუსი, უკრაინა და მოლდოვა) მმართველობის გამჭვირვალობისა და ღიაობის პრინციპების გაუმჯობესების ხელშეწყობას.

მონაცემთა გაცვლის სააგენტომ ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის საფუძვლებში მორიგი ტრენინგი ჩაატარა



იუსტიციის სასწავლო ცენტრში საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტოს წარმომადგენლებმა მორიგი ტრენინგი ჩაატარეს, რომელიც ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემას მიეძღვნა. ტრენინგი კრიტიკული ინფორმაციული სისტემის სუბიექტების 18-მა წარმომადგენელმა გაიარა.

კრიტიკული ინფორმაციული სისტემის სუბიექტი წარმოადგენს ქვეყნისათვის სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე ორგანიზაციას, რომლისთვისაც სავალდებულოა ინფორმაციული უსაფრთხოების

მართვის სისტემების ქონა და ამ მიმართულებით შესაბამისად მომზადებული კადრების არსებობა. კრიტიკული ინფორმაციული სისტემის სუბიექტის გამართული მუშაობა წარმოადგენს გარანტს, რომ მოქალაქე მიიღებს მაღალი ხარისხის მომსახურებას და მისი ინტერესები მაქსიმალურად იქნება დაცული სახელმწიფოს მხრიდან. ასეთი ორგანიზაცია შეიძლება იყოს საქართველოს სასაზღვრო პოლიცია, გამოცდების ეროვნული ცენტრი, საქართველოს რკინიგზა, საქართველოს ეროვნული ბანკი და სხვა. მსგავსი ორგანიზაციების ჩამონათვალს ადგენს საქართველოს კანონი ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ.

ტრენინგის განმავლობაში, პრაქტიკულ სავარჯიშოებთან ერთად, მონაწილეები გაეცნენ ინფორმაციული უსაფრთხოების რეალურ გარემოში დანერგვის გზებს, ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემების აუდიტის კონკრეტულ საკითხებს, შესაბამის კანონებსა და ქვემდებარე ნორმატიულ აქტებს.

ტრენინგი 5 დღის მანძილზე მიმდინარეობდა და დასრულდა ტესტირებით, რომლის შედეგების შეფასების საფუძველზეც გაიცემა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტოს სერტიფიკატები.

ლაოსის დელეგაცია მონაცემთა გაცვლის სააგენტოს ესტუმრა

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტოს ლაოსის დელეგაცია ესტუმრა. სააგენტოს წარმომადგენლებმა სტუმრებს დეტალურად გააცნეს საქართველოში ელექტრონული მმართველობის, მონაცემთა გაცვლის ინფრასტრუქტურის, ელექტრონული სერვისებისა და ღია მმართველობის მიმართულებით განხორციელებული პროექტები, ასევე გაუზიარეს ის გამოცდილება, რომელიც სააგენტოს უკანასკნელი რამდენიმე წლის განმავლობაში აღნიშნული მიმართულებებით დაუგროვდა.

ვიზიტის ფარგლებში ლაოსის დელეგაციის წევრები ასევე იმყოფებოდნენ თბილისის იუსტიციის სახლში და იმ სხვა უწყებებში, რომლებიც ელექტრონული მმართველობისა და ელ-სერვისების განვითარების მიმართულებით მუშაობენ.

„მოხარულნი ვართ, რომ ჩვენი სააგენტოს გამოცდილების გაზიარებით სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლები ინტერესდებიან. დღეს ჩვენს ვუმასპინძლეთ კოლეგებს ლაოსიდან, რომელთაც გავაცანით სააგენტოს მუშაობის სფეროები და ყველა ის პროექტი, რომელიც დაკავშირებულია ქვეყანაში ელექტრონული მმართველობისა და ელექტრონული სერვისების განვითარებასთან“, - განაცხადა **ირაკლი გვენეტაძემ**, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტოს თავმჯდომარემ.

დელეგაციის წევრები ასევე გაეცნენ საქართველოში კიბერ და ინფორმაციული უსაფრთხოების განვითარების ტენდენციებს და ელექტრონული სერვისების ერთი ფანჯრის პრინციპით მიწოდების ონლაინ პლატფორმას - მოქალაქის პორტალს (MY.GOV.GE).

პროექტი „ელექტრონული მმართველობის დანერგვა ადგილობრივ თვითმმართველობებში“ კიდეც 4 რეგიონში განხორციელდება



პროექტის "ელექტრონული მმართველობის დანერგვა ადგილობრივ თვითმმართველობებში" ფარგლებში, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ, საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ, მონაცემთა გაცვლის სააგენტომ, ფინანსთა სამინისტროს საფინანსო ანალიტიკურ სამსახურმა და პროექტისთვის შერჩეულმა ოთხმა მუნიციპალიტეტმა თანამშრომლობის მემორანდუმს მოაწერეს ხელი.

მემორანდუმს, ახლად შერჩეულ 4 მუნიციპალიტეტის წარმომადგენელთან ერთად ხელი მოაწერეს: სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს თავმჯდომარე **შიო**

ხეცურიანმა, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე **პაპუნა უგრეხელიძემ**, მონაცემთა გაცვლის სააგენტოს თავმჯდომარე **ირაკლი გვენეტაძემ** და ფინანსთა სამინისტროს საფინანსო ანალიტიკური სამსახურის დირექტორმა **გიორგი კურტანიძემ**.

მემორანდუმის თანახმად, პროექტი ამჯერად კიდეც ოთხ მუნიციპალიტეტში: მცხეთაში, გორში, ჩხოროწყუსა და ზუგდიდში განხორციელდება. განახლდება მუნიციპალიტეტების კომპიუტერული ინფრასტრუქტურა, მოხდება თანამშრომლების გადამზადება IT საბაზისო უნარებში, დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემასა და მუნიციპალიტეტების მართვის სისტემაში.

ასევე განხორციელდება იმ საკანონმდებლო ბაზის განახლება, რომელიც მუნიციპალიტეტების ელექტრონულ მმართველობაზე გადასვლასთანაა დაკავშირებული. საბოლოო ეტაპზე მოხდება დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემისა და მუნიციპალიტეტების მართვის სისტემების დანერგვა. აღნიშნული სისტემების საშუალებით გაუმჯობესდება კონტროლი გაწეულ მომსახურებაზე, შემცირდება მომსახურების მიღების ვადები და მინიმუმამდე იქნება დაყვანილი საოპერაციო და ადამიანური ხარვეზები, გადაწყვეტილების მიღების პროცესი გახდება გამჭვირვალე.

მხედველობადაქვეითებული პირებისათვის შემოსავლების სამსახურის სპეციალური ვებგვერდი ამოქმედდა

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურმა ახალი ვებგვერდი წარმოადგინა, რომელიც სპეციალურად მხედველობადაქვეითებული მომხმარებლებისთვის არის განკუთვნილი. აღნიშნული ვებგვერდი, რომელიც განთავსებულია მისამართზე -voice.rs.ge - შემოსავლების სამსახურში დასაქმებული ათობით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთაგან ერთ-ერთის მიერ შეიქმნა და მას საქართველოში დღეს ანალოგი არ აქვს.



ეკრანზე გამოტანილი ნებისმიერი ქართულ ტექსტი გენერირდება აუდიო ფორმატში და ყურსასმენების თუ სხვა მოსასმენი მოწყობილობის მშვეობით შესაძლებელია მისი მოსმენა. voice.rs.ge მხედველობადაქვეითებულ პირებს საშუალებას აძლევს დამოუკიდებლად, ონლაინ რეჟიმში, შეძლონ ურთიერთობა შემოსავლების სამსახურთან, ისარგებლონ მისი სერვისებით, მიიღონ ინფორმაცია მნიშვნელოვანი სიახლეების შესახებ და სხვა.

GITI 2015



Georgian IT Innovation Event GITI 2015



Partnerships for Competitiveness, Innovation and Cyber Security

8th Regional

Georgian Cyber Security and IT Innovation Conference/
Georgian IT Innovation Awards 2015

Organizers:

ICT Business Council of Georgia
LEPL Data Exchange Agency of Ministry of Justice of Georgia

November 19-20, 2015
Hôtels & Préférence Hualing Tbilisi
Tbilisi, Georgia

The conference is the region's one of the most influential events in the field ICT and IT innovations. Through the years, the conference has been a vital opportunity for high-profile experts from a diverse background in ICTs and cyber security to establish professional relationships and served as a platform for the formation of international cooperation.

Participation in the conference is **free of charge**.

If you want to participate and/or be the speaker at the GITI conference, please send us the filled in GITI **Application A**.

Online form of Application A can be found at:

<http://www.jotformpro.com/form/52772509656970>

If you want to nominate one or more of your projects for the awards, please send us the filled in GITI **Application B**.

Online form of Application B can be found at:

<http://www.jotformpro.com/form/52772122743958>

Fore more information, please contact:

Giga Shubitidze: mobile: +995 577 750115

Irakli Gvenetadze: mobile: +995 577 620404

Nino Bigvava: mobile: +995 595 345345

E-mail: GITI@ictbc.ge

იბილეთ ჩვენი საიტები
www.dea.gov.ge; www.my.gov.ge

მონაცემთა გაცვლის
სააგენტო

წმ. ნიკოლოზის/ნ. ჩხეიძის ქ. 2
თბილისი 0102, საქართველო
ტელეფონი: (+ 995 32) 291 51 40
ელ.ფოსტა: info@dea.gov.ge

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

მონაცემთა გაცვლის
სააგენტო



თუ ხართ ახალი მომხმარებელი ან კვლავ გსურთ საინფორმაციო ფურცლის გამოწერა, გთხოვთ გამოაგზავნოთ ელექტრონული შეტყობინება მისამართზე: info@dea.gov.ge და სათაურში მიუთითოთ **“Subscribe”** ან დაარეგისტრირდეთ თქვენი ელექტრონული ფოსტის მისამართი ვებ გვერდზე: www.e-government.ge

თუ არ გსურთ, მონაცემთა გაცვლის სააგენტოს საინფორმაციო ბიულეტენის მიღება, გთხოვთ